„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლადო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2015 * №(4)13

ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში კონკურსი გრძელდება

როგორც ცნობილია, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2015 წლის 2-3 თებერვალს გამოაცხადა ხელახალი კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე ტესტირების დაქვემდებარებულ ვაკანტურ თანამდებობებზე.

როგორც საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის სამდივნოს წევრმა ანა ტივაძემ განგვიმარტა, კონკურსის სამივე ეტაპი წარმატებით გაიარეს და უკვე დანიშნულები არიან შესაბამის თანამდებობზე:

1. **ეკა კალაიჯიშვილი** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსად;

2. **ნუგზარ შავაძე** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარ სპეციალისტად მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში;

3. **თეიმურაზ ბერიძე** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად დაბა ასპინძაში;

4. **ლევან გვირჯიშვილი** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტად ქონების აღრიცხვისა და მართვის საკითხებში;

5. **გიორგი ტივაძე** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მთავარ სპეციალისტად სტატისტიკის, მართვის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის საკითხებში;

6. **როსტომ წიკლაური** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსად;

7. **გოდერძი ლაზარაშვილი** – ასპინძის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის გამარტივებული ელექტრონული ტენდერების და ელექტრონული ტენდერების განყოფილების უფროსად;

8. **ზურაბ ლეკიშვილი** – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტად სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

9. **დარეჯან ზღუდაძე** – ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსად;

ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა კონკურსი კვლავ გრძელდება: ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ამჯერად ვაკანტურია შემდეგი თანამდებობები:

1. *ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ტოლოშში, ხერთვისსა და გელსუნდაში;*

2. *ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ საროში, ნიჯგორსა და აწყვიტაში;*

3. *ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ნაქალაქევში, თმოგვსა და ფიაში;*

4. *ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ორგორასა და საყუდაბელში;*

5. *ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ზველსა და ჭობარეთში;*

6. *ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი.*

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახური

საგაზაფხულო სამუშაოები გრძელდება

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ცნობით, 2015 წლის 15 მაისის მონაცემებით, **რაიონში მოხნულია 2169,1** ჰექტარი მინის ფართობი, აქედან მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით – 239 ჰექტარი, პროგრამის გარეშე – 1930,1 ჰექტარი.

რაიონში მთლიანად დათესილია ქერი, კარტოფილი, შვრია, ხორბალი, ხახვი, ნიორი, მწვანილი, სიმინდი, ლობიო 1626,56 ჰექტარზე. აქედან ქერი– 369 ჰექტარზე; ხორბალი – 509,86 ჰექტარზე; შვრია – 31,5 ჰექტარზე; კარტოფილი – 759,2 ჰექტარზე; ხახვი – 45,85 ჰექტარზე; ნიორი – 18,38 ჰექტარზე; მწვანილი – 11,85 ჰექტარზე; სიმინდი – 43 ჰექტარზე; ლობიო – 37,7 ჰექტარზე.

დაბა ასპინძაში მთლიანად მოხნულია 147,08 ჰექტარი; პროგრამით – 14,58 ჰექტარი, პროგრამის გარეშე – 132,5 ჰექტარი; ქერი – 1,5 ჰექტარზე, ხორბალი – 4,5 ჰექტარზე; კარტოფილი – 70 ჰექტარზე; ხახვი – 11,2 ჰექტარზე; ნიორი – 1,08 ჰექტარზე; მწვანილი – 2,4 ჰექტარზე, სიმინდი – 2 ჰექტარზე; ლობიო – 2 ჰექტარზე.

სოფლების მიხედვით:

ოთაში მოიხნა 25,87 ჰექტარი. აქედან კარტოფილი დათესილია 13 ჰექტარზე; ხახვი – 1,4 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,1 ჰექტარზე; სიმინდი – 1

დასასრული მე–2 გვ.

ოლიმპიური ჩირაღდანი ასპინძაში

მიმდინარე წელი ქართველი ერის ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება! – საქართველო მასპინძლობს ახალგაზრდულ ოლიმპიურ ჩემპიონატს და მის დაწყებას დიდი მონდომებით ველით.

როგორც ცნობილია, 26 მაისს, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ბიზნესმენის, ნოდარ გიორგაძის ორგანიზებით, ოლიმპიურ ქალაქ ათენიდან, პირველად საქართველოს ისტორიაში, ჩამობრძანებული იქნა ოლიმპიური ჩირაღდანი და ქალაქ ბათუმიდან დაიწყო მისი ესტაფეტა. იგი მთელ საქართველოს მოივლის და ოლიმპიადის გახსნის დღეს ჩაბრძანდება ქალაქ თბილისში, სადაც, მთელი მსოფლიოს ყურადღება იქითკენ იქნება მიპყრობილი.

როგორც მთელმა საქართველომ, ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში ასპინძელებმაც მიიღეს მონაწილეობა და ამა წლის 31 მაისს, სულთმოფენობის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, საზეიმო დახვედრა მოუწყეს მეჩირაღდნეებს.

ოლიმპიურ ჩირაღდანს ახლდნენ ჩირაღდნის სამსახურის უფროსი **ნიკოლოზ ჯიბუტი,** დახვედრა-გაცილების სამსახურის უფროსი **ლაშა ჩიკვაიძე**, ვიპ?? სტუმრების დახვედრა-გაცილების სამსახურის უფროსი **თეა დოლიძე** და დახვედრა-გაცილების დეპარტამენტის უფროსი **ვანო ნონიშვილი**. ასპინძელთა მხრიდან მეჩირაღდნეების საპატიო მისია ერგოთ ვეტერან სპორტსმენებს: **პაატა ქავთარაძეს, ოლია სლინკოს, გიორგი ცინაძეს, ნოდარ კოსტანიანს, პავლე ფოცხვერაშვილს და დავით რიჟამაძეს.**

ოლიმპიური ჩირაღდნის ჩამობრძანებას ძირძველ მესხურ მიწაზე ხანგრძლივი ოვაციებით დახვდნეენ ასპინძელები, რომლებმაც იგი დააბრძანეს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინ მოწყობილ, ლამაზად გაფორმებულ სცენაზე, სადაც საპატიო სტუმრებსა და დამსწრე საზოგადოებას საპატიო შეხვედრა მოუწყო ასპინძის მუნიციპალიტეტმა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მუნიციპალიტეტის გამგებელი, ცნობილი ვეტერანი რეგბისტი, ევროპის ჩემპიონი **ლევან ცაბაძე**.

ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა კი (ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა – **„ლილემ“, „წუნდამ“, „შორეთმა“, „სამცხემ“**) არაჩვეულებრივი საზეიმო დახვედრა-კონცერტი გაუმართა ესტაფეტის მონაწილეებს და თავიანთი ხელოვნებით კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო აჩუქა მათ.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ ასპინძელმა მასპინძლებმა ოლიმპიურ მეჩირაღდნეებს გზა მეზობელი ახალქალაქისაკენ დაულოცეს...

მაკა ბერიძე

ნაპირსამაგრი სამუშაოები მალე დამთავრდება

ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარე ოთის წყლის კალაპოტის გასწვრივ, გაბიონების მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოები აპრილში დაიწყო და უახლოეს დღეებში დასრულდება. სულ გათვალისწინებულია 1750 მეტრი სიგრძის გაბიონის მოწყობა.

პროექტის განხორციელების საჭიროება გასული წლის მაისში სტიქიის შემდეგ გაჩნდა, როცა, ძლიერი წვიმის გამო, ადიდებულმა მდინარე ოთის წყალმა პრობლემები შეუქმნა სოფელ ოთისა და დაბა ასპინძის მოსახლეობას. მოვარდნილმა ნიაღვარმა მთლიანად

გაანადგურა მდინარის კალაპოტის მიმდებარედ არსებული ნათესები, დაზიანდა საგზაო ინფრასტრუქტურა და ხიდები. ღვარცოფი შევარდა საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებში.

მოსახლეობის თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. წლების განმავლობაში ისინი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებას ითხოვდნენ, თუმცა, უშედეგოდ.

რეგიონული პროექტების ფონდიდან გამოყოფილია მილიონ შვიდასი ათასი ლარი. ნაპირსამაგრი სამუშაოების გარდა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აღნიშნული თანხა 9 ახალი ხიდის აშენებას მოხმარდა.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი **აკაკი მაჭუტაძე** ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელთან – **ლევან ცაბაძესთან** და მშენებლებთან ერთად გაეცნო სამუშაო პროცესებს.

საკ. ინფორმაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა

მიმდინარე წლის 26 მაისს ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა მემორიალთან გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, რომელიც მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურმა გამგეობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან ერთად გამართა. ღონისძიებაზე დაბა ასპინძასა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

ასპინძის წმ.გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარმა **მამა ზაქარიამ** დალოცა იქ შეკრებილები, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლევან ცაბაძემ და რაიონის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა მემორიალი.

შემდეგ გაიმართა კულტურული ღონისძიება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრში შემავალმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა. ღონისძიება გახსნა ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა **„ლალემ“**. შესრულდა საქართველოს ჰიმნი.

ღონისძიებაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი **„წუნდა“ და „შორეთი“, „ვარძია“** და ბავშვთა საესტრადო ანსამბლი **„იმედი“**, ქორეოგრაფიული ანსამბლი **„სამცხე“**.

ღონისძიებამ დიდხანს გასტანა და დამსწრე საზოგადოებისგან არაერთხელ დაჯილდოვდნენ ხანგრძლივი აპლოდისმენტებით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის
საინფორმაციო სამსახური

ყურადღება - აუდიტორიის ჯრუნჩრაჯა აფიჭაეღღა?

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს აგროდაზღვევის საპილოტე დაზღვევას. პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულ ფერმერებს საშუალება ეძლევათ დააზღვიონ მოსავალი და სტიქიისაგან დაზიანების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიისაგან.

პროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

პროექტის ფარგლებში შესაძლებელია მოსავლის დაზღვევა – სეტყვაზე, ჭარბ ნალექზე, ქარიშხალზე, საშემოდგომო ყინვაზე.

დასაზღვევად მიიღება მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი ან, აზომვითი ნახაზი, ან GPS კოორდინატები.

სადაზღვევო პოლისის გაცემის დროს, დამზღვევმა უნდა გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის მხოლოდ ნაწილი, ხოლო დანარჩენს გადაიხდის სოფლის მეურნეობის პროექტის მართვის სააგენტო.

სახელმწიფო სუბსიდიებით სარგებლობა შეუძლია პირს, რომელსაც გააჩნია 5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მარცვლეული კულტურების მოყვანის შემთხვევაში – 15 ჰექტარი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე არ ვრცელდება მიწის ფართობით შეზღუდვა. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსება განისაზღვრება მაქსიმუმ 50.000 ლარით. პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია ფიქსირებული სადაზღვევო პრემია და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით.

მოსახლეობას შეუძლია დააზღვიოს – მარცვლეული, ბოსტნეული და პარკოსანი კულტურები, ვაზი, ხეხილი, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურები.

სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ბენეფიციარზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე. თუ ზიანი მიადგა დაზღვეული ტერიტორიის ნაწილს, ანაზღაურება განისაზღვრება ამ ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე.

მოსახლეობამ, პროგრამით გათვალისწინებული ზიანის დადგომის შემთხვევაში, 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს პოლისში მითითებულ სადაზღვევო კომპანიას, ან სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

დაინტერესებულმა პირებმა პროექტში მონაწილეობის მისაღებად უნდა მიმართოს შემდეგ სადაზღვევო კომპანიებს: სადაზღვევო კომპანია „აი რი ჯგუფს“, სადაზღვევო კომპანია „ალდაგს“, ვენის სადაზღვევო ჯგუფს „ირაო-„ს სადაზღვევო კომპანია „VNISON“-ს, სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგ „ჯი პი აი“-ს.

პროექტის ფარგლებში სადაზღვევო პოლისების გაცემა მოხდება 2015 წლის 10 დეკემბრამდე.

ფრთხილად, ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ვერაგი დაავადებაა!

ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელება (CCHF) მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც იწვევს ვირუსის სახეობა – Ndirovirus, ოჯახი Bunydiridas. ვირუსი გადაეცემა ტკიპის მეშვეობით და იწვევს მძიმე ჰემორაგიულ ცხელებას, როგორც ერთეული შემთხვევების, ასევე აფეთქების სახით. ადამიანი უფრო ხშირად ინფიცირდება ტრანძისიულად, ტკიპების კბენით და ავადმყოფი ცხოველების სისხლთან და ქსოვილებთან უშუალო კონტაქტით. ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა შესაძლებელია დაავადებული ადამიანის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას, სამედიცინო მანიპულაციების დროს ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელება განსაკუთრებით ვერაგი დაავადებაა იმ თვალსაზრისითაც, რომ დამახასიათებელია მაღალი ლეტალობის (10-40%) მაჩვენებელი. როდის ხდება ადამიანი ავად ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელებით?

ბუნებაში ტკიპების მრავალი სახეობაა, – ძირითად გადამტანად ითვლება სახეობა ჰაილომა, რომელიც საქართველოშიც არის გავრცელებული. ცხოველები, რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ (თაგვები, ზღარბები, კურდღლები, ძროხები, ცხვრები, თხები და სხვ.), ვირუსების დროებითი რეზერვუარებია. ცხოველი ინფიცირდება დაავადებული ტკიპის კბენისას. მის სისხლში ვირუსი დაინფიცირებიდან ერთი კვირის განმავლობაში ცირკულირებს და ტკიპას შემდგომი კბენისას, ინფექციის გადაცემის ციკლი – ტკიპა- ცხოველი-ტკიპა, გრძელდება. ადამიანის ორგანიზმში ვირუსი ხვდება ინფიცირებული ტკიპის კბენის შედეგად და მრავლდება რეტიკულურ-ენდოთელურ სისტემაში.

რისკის ჯგუფში შედიან: სოფლის მეურნეობის მუშაკები, მესაქონლეები, ცხოველთა სასაკლაოს მუშაკები, ვეტერინარები, მედიცინის სფეროს მუშაკები, მოგზაურები (ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ენდემურ რეგიონებში).

დაავადების ინკუბაციური პერიოდი ტკიპის კბენით ვირუსის გადაცემის შემთხვევაში არის 1-3 დღე, დაინფიცირებულ სისხლთან და ქსოვილებთან კონტაქტისას – 5-6 დღე, ხოლო მაქსიმალური ინკუბაციური პერიოდი – 13-14 დღე. ყირიმი-კონგოს ჰემორაგიულ ცხელებას ახასიათებს მწვავე დაწყება, ორტალღიანი ცხელება, ძლიერი ინტოქსიკაცია და ჰემორაგიული სინდრომი.

დაავადება იწყება შემცივნებით, მაღალი ცხელებით (39-40 გრადუსი), თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილით, რასაც მოსდევს ვირუსები და ინტოქსიკაცია. ავადმყოფს აწუხებს პირის სიმშრალე, თავბრუ, ღებინება. სახე, კისერი, ლორწოვანი გარსი აქვს შეწითლებული, ზოგჯერ, ასევე, გამოხატული აქვს სიყვითლე, კისერზე ჩნდება გამონაყრები (წითელი ლაქები), სისხლში აღენიშნება ლეიკოპენია, ნეიტროფილების მარცხნივ გადახრა. დაავადება მიმდინარეობს ტიპიურად და წაშლილი ფორმით.

წაშლილი ფორმების შემთხვევაში, ჰემორაგიული სინდრომი გამოხატული არ არის. მძიმე ფორმების შემთხვევაში, ვითარდება პათოლოგიური სისხლის დენა ღრძილებიდან, ცხვირიდან, ნაწლავებიდან, საშვილოსნოდან და ფილტვებიდან, თირკმლებისა და ღვიძლის მწვავე უკმარისობა, ასევე მენინგეალური და ტვინის შეშუპების სინდრომები (კრუნჩხვები, კომა), რეკონვალესენცის პერიოდი ერთიდან ორ თვემდეა. დაავადების მძიმე ფორმის შემთხვევაში, ლეტალური გამოსავალი დგება ავადობის მე-7 კვირას. არაიმუნურ პირთა ლეტალობა 10-40%-ს აღწევს.

ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელების სწორი დიაგნოზის დასმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას, რომელიც ემყარება მოლეკულურ სეროლოგიურ გამოკვლევას.

აუცილებელია დაავადებულის ჰოსპიტალიზაცია და წოლითი რეჟიმი, ინიშნება ანტივირუსული მკურნალობა. დიდ როლს ასრულებს ბრძოლა ინტოქსიკაციასთან და ჰემორაგულ სინდრომთან, გამოიყენება ანტიკომური საშუალებები და, რაც მთავარია, საჭიროა გატარდეს მკაცრი პრევენციული ღონისძიებები. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას და დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტის, პირადი პროფილაქტიკისა (სპეცტანსაცმელი, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები) და მედიცინის მუშაკების მიერ საავადმყოფოს შიგა რეჟიმის დაცვა. ვეტერინალური ღონისძიებების გატარება შინაური ცხოველების მიმართ (იზრუნეთ ავადმყოფი ცხოველების იზოლაციასა და მკურნალობაზე).

რაიონის მუნიციპალიტეტში 2013 წელს დაფიქსირდა ამ დაავადების სამი შემთხვევა, მათ შორის – ერთი ივერიაში და ორი ოშორაში. საბედნიეროდ, სამივე შემთხვევა მკურნალობას დაექვემდებარა.

გაითვალისწინეთ: ყირიმი-კონგოს ჰემორაგიული ცხელება ერთ-ერთი ვერაგი დაავადებაა.

მზია პაპაშვილი,
ასპინძის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირქტორი

საგაზაფხულო სამუშაოები გრძელდება

პირველი გვერდიდან

ჰექტარზე; ლობიო – 1 ჰექტარზე.

ივერიაში მოხნულია 20,5 ჰექტარი. აქედან შვრია დათესილია 10 ჰექტარზე; კარტოფილი – 6 ჰექტარზე; ხახვი – 0,25 ჰექტარზე; ნიორი – 0,1 ჰექტარზე; მწვანილი – 0,1 ჰექტარზე; სიმინდი – 1 ჰექტარზე; ლობიო – 1 ჰექტარზე;

იდუმალაში – მოხნულია 86,76 ჰექტარი. ქერი დათესდილია 3,0 ჰექტარზე; კარტოფილი – 50,8 ჰექტარზე; ხახვი – 0,8 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,4 ჰექტარზე.

ოშორაში – მოხნულია 118, 34 ჰექტარი. ქერი დათესილია 13,2 ჰექტარზე; ხორბალი – 3 ჰექტარზე; კარტოფილი – 68,8 ჰექტარზე; ხახვი – 0,9 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,8 ჰექტარზე; სიმინდი – 6 ჰექტარზე; ლობიო – 7 ჰექტარზე.

რუსთავში – მოხნულია 129,5 ჰექტარი, აქედან ქერი დათესილია 20 ჰექტარზე; კარტოფილი – 86,39 ჰექტარზე; ხახვი – 1,6 ჰექტარზე; ნიორი – 0,8 ჰექტარზე; მწვანილი – 0,9 ჰექტარზე; სიმინდი – 6 ჰექტარზე; ლობიო – 1 ჰექტარზე.

დამალაში – მოხნულია 111,52 ჰექტარი. ქერი დათესილია 10 ჰექტარზე; კარტოფილი – 71,2 ჰექტარზე; ხახვი – 11,9 ჰექტარზე; ნიორი – 1,8 ჰექტარზე; მწვანილი – 3,2 ჰექტარზე; სიმინდი – 1,5 ჰექტარზე; ლობიო – 2,5 ჰექტარზე.

ტოლოშში – მოხნულია 19,71 ჰექტარი. კარტოფილი დათესილია 9,5 ჰექტარზე; ხახვი – 0,7 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,4 ჰექტარზე; სიმინდი და ლობიო – თითო ჰექტარზე.

ხერთვისში – მოხნულია 42 ჰექტარი. აქედან კარტოფილი დათესილია 10,8 ჰექტარზე; ხახვი – 0,4 ჰექტარზე; ნიორი – 0,2 ჰექტარზე; მწვანილი – 0,1 ჰექტარზე; სიმინდი და ლობიო ასევე თითო ჰექტარზე.

აწყვიტაში – მოხნულია 73, 0 ჰექტარი. აქედან კარტოფილი დათესილია 40 ჰექტარზე; ხახვი – 4,2 ჰექტარზე; ნიორი – 3,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,6 ჰექტარზე; სიმინდი და ლობიო 4 – 4 ჰექტარზე.

საროში – მოხნულია 164,25 ჰექტარი. აქედან ქერი დათესილია 52 ჰექტარზე; ხორბალი – 50 ჰექტარზე; კარტოფილი – 93 ჰექტარზე; ხახვი – 1,7 ჰექტარზე; ნიორი – 1,4 ჰექტარზე; მწვანილი – 0,15 ჰექტარზე; სიმინდი – 1-ზე, ხოლო ლობიო 2 ჰექტარზე.

ნაქალაქევში – მოხნულია 56,78 ჰექტარი. აქედან კარტოფილი დათესლია 38 ჰექტარზე; ხახვი – 1,2 ჰექტარზე; ნიორი – 0,8 ჰექტარზე; მწვანილი – 0,1 ჰექტარზე; სიმინდი და ლობიო – 4-4 ჰექტარზე.

მირაშხანში – მოხნულია 66,21 ჰექტარი. აქედან შვრია დათესილია 0,5 ჰექტარზე; კარტოფილი – 22,6 ჰექტარზე; ხახვი – 1 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,7 ჰექტარზე; სიმინდი და ლობიო – 3,5-3,5 ჰექტარზე.

ორგორაში – მოხნულია 22,09 ჰექტარი. აქედან კარტოფილი დათესილია 5,77 ჰექტარზე; ხახვი – 0,8 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,1 ჰექტარზე; ქერი – 12 ჰექტარზე; სიმინდი და ლობიო – 1-1 ჰექტარზე.

საყუდაბელში – მოხნულია 30 ჰექტარი. აქედან ქერი დათესლია 45 ჰექტარზე; ხორბალი – 1,36 ჰექტარზე; კარტოფილი – 12,35 ჰექტარზე; ხახვი – 0,8 ჰექტარზე; ნიორი – 0,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,1 ჰექტარზე; სიმინდი –1 ჰექტარზე;

ზველში – მოხნულია 164,66 ჰექტარი. აქედან ქერი დათესილია 57 ჰექტარზე; ხორბალი – 10,5 ჰექტარზე; შვრია – 8 ჰექტარზე; კარტოფილი – 25,2 ჰექტარზე; ხახვი – 0,7 ჰექტარზე; ნიორი – 1,5 ჰექტარზე; მწვანილი – 0,2 ჰექტარზე.

ჭობარეთში – მოხნულია 113 ჰექტარი. აქედან ქერი დათესლია 39 ჰექტარზე; ხორბალი – 50 ჰექტარზე; კარტოფილი – 15,7 ჰექტარზე; ხახვი – 1,7 ჰექტარზე; ნიორი – 1,2 და მწვანილი 0,1 ჰექტარზე.

ხიზაბავრაში – მოხნულია 380,34 ჰექტარი. აქედან ქერი დათესლია 85,5 ჰექტარზე; ხორბალი – 100 ჰექტარზე; კარტოფილი – 47 ჰექტარზე; ხახვი – 2,7 ჰექტარზე; ნიორი – 1,3 ჰექტარზე; მწვანილი – 0,5 ჰექტარზე.

თოკში – მოხნულია 86,3 ჰექტარი. აქედან ქერი დათესილია 38 ჰექტარზე; ხორბალი – 20 ჰექტარზე; კარტოფილი – 12 ჰექტარზე.

ვარგავში – მოხნულია 82 ჰექტარი. აქედან ქერი დათესლია 32 ჰექტარზე; ხორბალი – 9 ჰექტარზე; კარტოფილი – 7 ჰექტარზე.

ნიალაში სულ მოხნულია 200 ჰექტარი.

საკუთრი ინფორმაცია

სპეციალისტის რჩევა

თავიანი ხახვის მოყვანის ტექნოლოგია

ხახვი უძველესი კულტურაა. ადამიანი მას მოიხმარს ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე.

ხახვს მისი შემადგენელი ფიტონციდების წყალობით, ბაქტერიოლოგიური თვისებები აქვს და ორგანიზმს დაავადებათა მიკრობების სეზონური შეტევისაგან იცავს. ეს რკინით მდიდარი პროდუქტი ანემიის პროფილაქტიკისთვის საიმედო საშუალებაა. ხახვში ბევრია კალიუმი, ასკორბინის მჟავა და, ასევე, სხვა ვიტამინები და მინერალები. ახლახან მეცნიერებმა ხახვში აღმოაჩინეს უნიკალური ნივთიერება კვერცეტინი – ანტიოქსიდანტი, რომელიც სიმსივნური უჯრედების საწინააღმდეგო აქტივობით ხასიათდება. ასევე აღმოჩნდა, რომ ხახვში გაცილებით მეტი ბუნებრივი შაქარია, ვიდრე ტკბილ ვაშლსა და მსხალში – დაახლოებით 14%.

თავიანი ხახვის წვენი გამოიყენება რევმატიზმის, უძილობის სამკურნალოდ. ცოცხალი ხახვის „ფაფა“ კარგია გრიპის, დერმატიტის, თმის ცვენის, მაზოლებისა და მეჭეჭების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის წინააღმდეგ. გოგირდოვანი მჟავები, რომელნიც ხახვში მოიპოვება, ხელს უშლის სისხლის შედედებას და არეგულირებს თრომბოციტების მუშაობის პროცესს.

ხახვში შემავალი ნივთიერებები დაბლა წევს ხოლესტერინის დონეს და ხელს უწყობს ერითროციტების წარმოქმნას. შესაბამისად, ხახვი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ერთ-ერთი პრევენციული საშუალებაა.

ხახვის ბოლქვის გარეგანი, მშრალი ქერქლის შეფერილობის მიხედვით, შეიძლება იყოს ყვითელი, წითელი, თეთრი, ან ვარდისფერი.

ხახვი ერთლებნიანი მრავალწლიანი, ყინვაგამძლე მცენარეა, სასიცოცხლო ციკლი – 2-3 წელია, სავეგეტაციო პერიოდი – 120-180 დღე, თესლის გაღვივება – 3-4 გრადუსი, მცენარის ზრდა – 12-18 გრადუს ცელსიუსზე ხდება. ბოლქვის განვითარება – 18-25 გრადუს ცელსიუსია. უძლებს 3 გრადუს ცელსიუსს, ვეღარ ვითარდება 30 გრადუს ცელსიუსზე, მოსავლიანობა – 30-35 ტონა ჰექტარზე.

ხახვის მოყვანა შეიძლება ყველა ტიპის ნიადაგზე, რომელიც უნდა იყოს სარეველებისაგან სუფთა, ნოყიერი და სარწყავ ადგილზე, საქონლის გადამწვარი ნაკელი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქის სრული დოზა შეგვაქვს შემოდგომით, მზრალად ხვნის წინ.

აზოტიანი სასუქით გამოკვება:

პირველი გამოკვება – ფოჩის განვითარების ფაზაში;

მეორე გამოკვება – ბოლქვის ფორმირების დასაწყისში.

ხახვის თესვის წინ აუცილებელია ნიადაგის თესვის წინა დამუშავება, კულტივაცია, ფარცხვა, ფრეზირება, მოსწორება. ხახვი შეიძლება დაითესოს შემოდგომით და გაზაფხულზე. თესვის ვადის შერჩევა დამოკიდებულია ხახვის მოყვანის, ადგილის კლიმატურ პირობებზე.

კვების არე:

მწკრივში, მცენარეთა შორის მანძილი – 6-8 სმ.;

მწკრივთა შორის მანძილი – 20-35 სმ.:

დათესვის სიღრმე გაზაფხულზე – 2-3 სმ.;

დათესვის სიღრმე შემოდგომით – 3-4 სმ.

ნათესის მოვლა:

ხახვის ნათესი უნდა იყოს სარეველებისაგან გასუფთავებული. ამისთვის ნათესებში ტარდება მარგვლა, გამოხშირვა 2-3 ჯერ; თოხნა მწკრივებს შორის 4-5 ჯერ და მცენარეთა შორის 2-3 - ჯერ; მწკრივთა შორის კულტივაცია – 2-3-ჯერ.

აუცილებელია ნათესის შეწამვლა მავნებლებისა და დაავადებების საწინააღმდეგოდ პესტიციდებით.

ნათესების გამოკვება აზოტიანი სასუქით, მორწყვა 5-6-ჯერ.

მოსავლის აღება:

მოსავლის აღება ხდება მაშინ, როდესაც ცრუ ღერო გაყვითლდება, გაწვრილდება და ჩაწვება, ბოლქვი კი მიიღებს ჯიშისათვის დამახასიათებელ ფორმასა და ფერს. მოსავლის აღების შეჩერება-გადადება იწვევს ბოლქვებზე ახალი ფესვების წარმოქმნას, რაც აქვეითებს მის შენახვის უნარიანობას.

ოლღა ბერიძე-ველიჯანაშვილისა,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასპინძის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი სპეციალისტი

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, ანუ როცა სიტყვა საქმედ იქცა

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს.

პროექტის მიზანია ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმო პროცესების გაუმჯობესება.

„შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისაგან

მიიღებენ ორი სახის შეღავათიან კრედიტს:

1. შეღავათიანი აგროკრედიტი – საბრუნავი საშუალებებისთვის;
2. შეღავათიანი აგროკრედიტი – ძირითადი საშუალებებისთვის.

როგორც ცნობილია, პროექტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი დარგები: გადამამუშავებელი საწარმოები – რძის გადამუშავება, ხორცის გადამუშავება, შერეული გადამამუშავებელი საწარმოები, თევზის გადამუშავება, ღვინის, ცხოველთა საკვების არაყის წარმოება, სასაკლაოს მოწყობა, ხილისა და თხილის გადამუშავება, ლუდის, კონიაკის, ჩაის წარმოება, კენკროვნებისა და კაკლის გადამუშავება, ზეთის, თამბაქოს, ეთერზეთების და სხვ, წარმოება.

ინფრასტრუქტურული საწარმოები:

შერეული ინფრასტრუქტურის საწარმოები; პროდუქციის შესანახი საწყობები; პროდუქტების შესანახი მაცივრები; მარცვლეულის საშრობი; შესაფუთი მასალისა და მუხის კასრების წარმოება.

პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები:

მესაქონლეობა, მეღორეობა, მეთევზეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, ფრინველის საჩეკი მეურნეობა, სასათბურე მეურნეობა, სოკოს წარმოება, მებაღეობა-მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხვარეობა, მრავალწლიანი კულტურები, ბაღები და სანერგეები.

შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს;
2. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს (ინდმეწარმეებს);
3. საქართველოს კანონით რეგისტრირებული იურიდიული პირი (გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა), მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები).

სწორედ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ასპინძაში დაფინანსდა შპს „ახალი მესხეთი“, რომელმაც სოფელ ტოლოშში ააშენა რძის გადამამუშავებელი საწარმო. ჩვენ შევხვდით მის ხელმძღვანელს **ალექსენდრე მელიქიძეს** და ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე:

– ეს საკმაოდ სოლიდური ციფრებია. როგორ გადაანაწილეთ და აითვისეთ აღნიშნული თანხა?

– საწყის ეტაპზე ჩვენ გვქონდა მხოლოდ ბიზნეს-გეგმა და თანხა წარმოების ასამუშავებლად. დავიწყეთ მიწის ნაკვეთის გაწმენდით, შენობის აშენებით და ეზოს კეთილმოწყობით. მე მგონი, დღეს, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშში, უკვე არის რძის სწორედ ისეთი გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

– რამდენი სახის პროდუქტს აწარმოებთ?

– ჯერჯერობით ვაწარმოებთ ყველის რამდენიმე სახეობის წარმოებას, კერძოდ: ქართულს, იმერულს, სულგუნს, ასევე – ნადუღს.

– როგორ ახდენთ საწარმოს რძის ნედლეულით უზრუნველყოფას?

– ჩვენ ასპინძის რაიონის სოფლების – თმოგვის, ნაქალაქევის, ფიის, ხერთვისის, ტოლოშის მოსახლეობიდან ვყიდულობთ რძეს და სპეციალური თერმოსებით გადმოგვაქვს მყიდველიდან – საწარმომდე. ერთ ლიტრ რძეში ვიხდით 67 თეთრს.

– ბატონო ალექსანდრე, რამდენი ადამიანია დასაქმებული თქვენთან?

– ამ ეტაპზე ჩვენთან დასაქმებულია 7 ადამიანი, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა საშუალო ხელფასი 450 ლარია.

– დაცულია თუ არა ტექნოლოგიური პროცესები, ვინ უზრუნველყოფს ხარისხს და წარმოებული პროდუქციის უვნებლობას?

– რა თქმა უნდა, საწარმოში გვყავს რძის ტექნოლოგი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის ხარისხსა და მის უვნებლობას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან რძე პასტერიზებულია, დაცულია ყველა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი – რძის შესყიდვიდან, გადამუშავების ბოლო სტადიამდე, ყველა ეტაპის გავლით.

– სად ახდენთ წარმოებული პროდუქციის რალიზაციას?

– ჩვენ ახლა ვდგამთ პირველ ნაბიჯებს, ჩვენთვის ეს დასაწყისია, ვცდილობთ გასაღების ბაზრის მოპოვებას, ამისთვის კი საჭიროა ვიყოთ კონკურენტუნარიანები,

ამჟამად მიღწეულია შეთანხმება მაღაზიათა ქსელ „სმარტთან“. უახლოეს დღეებში „სმარტი„-ს დახლებზე უკვე გამოჩნდება ჩვენი პროდუქცია.

როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია, მომავლისთვის უკეთესი ბიზნეს-იდეები და გეგმები გვაქვს.

– გმადლობთ.

P.S. იმედით მოვდივართ სოფელ ტოლოშიდან. ეს უკვე დანაპირების ასრულებაა, როცა ხელისუფლებამ სიტყვა საქმედ აქცია, როცა სოფელი და სოფლის მეურნეობა უკვე პრიორიტეტული დარგია, როცა სოფელში უკვე აშენდა და ფუნციონირებს ევროპული სტანდარტების დონის რძის გადამამუშავებელი საწარმო, როცა დასაქმების რეალური შანსი გაჩნდა და ოჯახებს სტაბილური შემოსავალი გაუჩნდათ.

იმედია ასეც იქნება

მანანა კიკნაძე



ცოლოშის ტოპონიმია

აკვანები - სოფელ ტოლოშის სიახლოვეს (ასპინძის რაიონი) მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს, მილახებთან ახლომდებარე ადგილია (მილახები იხ.ქვემოთ). **გადმოცემის თანახმად „მილახებში ვენახები ყოფილა. სამუშაოდ რომ წავიდოდნენ, მეძუძურ ქალებს, ბავშვებიც მიჰყავდათ აკვნებით.** (*აკვანი- სარწევი საწოლი ხისა, ჩვილი ბავშვისათვის, არნ.ჩიქობავა, მთ.რედ.„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“,,I გვ.41,თბ.,1990;*. **იმ ადგილას, სადაც აკვანებს ვეძახით, იქ ერთ-ერთ ქალს ჩააბარებდნენ, გადახურული ადგილი ყოფილა, თვითონ ვენახში მუშაობდნენ, ბავშვებს იქ ტოვებდნენ. სახელწოდება აკვანები ამიტომ დარქმევია.**

ალანძია – გადმოცემის მიხედვით, ალანძიას „აილანძა“ ერქვა. **„ძალიან სიცხე ყოფილა აულანძია, აუტრუსია იქ ყველაფერი და მაგიტო დარქმევია ეგ სახელი“.**ქართული ენის ლექსიკონში „**ალანძვა“-ატრუსვას**, გარედან დამწვარს ნიშნავს (*„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, დასახ.ნაშრ. გვ.43;*)

ალანძია სოფელ ტოლოშიდან სამხრეთით, ორიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ანაღურას მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. კლდის მასივზე დგას მერვე საუკუნეში აგებული დარბაზული ტიპის ეკლესია, აქვეა ნამოსახლარები (*ქსე., ტ 1, გვ.265; თბ.,1975;*). მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულს ალანძიაში რვა კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა. (*ს.ჯიქია,გ.ვ.დ.დ.*)

არჩაუბანი – სახნავ-სათესი ადგილია გუნდის სიახლოვეს (გუნდი იხ.ქვემოთ)

არყის წყარო – **„გუგათაში არყის ხის ძირას გამოდის, არყის წყაროს ეძახიან“ (გუგათა იხ.ქვემოთ)**

ანაღურა – მდინარე ანაღურა ტოლოშზე გავლით მტკვარს ერთვის. სათავეს შალოშეთის, თოლერთისა და ორხოფიის ხევებიდან იღებს, რომელიც ალანძიის სიახლოვეს ერთდება. მდინარის სიცოცხლისუნარიანობა ძირითადად ნალექების რაოდენობაზეა დამოკიდებული, ამიტომ, ზაფხულის ცხელ დღეებში, მისი დონე საგრძნობლად კლებულობს, მიუხედავად ამისა, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გადმოცემის თანახმად, სახელწოდება ანაღურა „დაკავშირებულია მდინარის სწრაფ ადიდებასთან **„ღვარად მოვარდებოდა, ღორღს მოაყრიდა“**. სულხან - საბას მიხედვით **„ღუარი ეწოდების წყალსა წვიმისასა...მიიღვაროს, ნაღვარევი, ნიავღუარი“** (*სულხან-საბა ორბელიანი „თხზულებანი“,ი.აბულაძის გამოც. გვ.257-258,თბ.,1966;*)

ბებრი ყანა – გუგათის ხევშია **„მოხუცი ქალი ყოფილა იმისი პატრონი, მაგედან დარქმევია“.**

ბაქირა ყანა – **„საცხენე ხევის ზეით არის, ბაქირაი ერქვა მაგ ყანის პატრონს“** (*საცხენე ხევი იხ.ქვემოთ*);

გუნდი – ნასოფლარია ბუზმარეთის ველის სიახლოვეს. ტოპონიმ გუნდის წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს ორი სხვადასხვა ვერსია. პირველი ვერსიით გუნდის ტერიტორიაზე **„მუდმივად გუნდად შეკრული ღრუბლები იყრის თავს,აქედან გამომდინარეობს ადგილის დასახელება გუნდი“** (*დ. თუმ-ანიშვილი,„ჯავახეთი“, გვ.131,თბ.,2000;).* ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით „ხალხი გუნდად შეკრებილა, იქ დამალულან შეკრებილები“... **„იმიტომ დაურქმევიათ გუნდი“.** სულხან საბას განმარტებით, **„გუნდი“** არის **„ჯარი ექვსიათასი“** (*ს. ს. ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“ I, გვ.172,თბ.,1991;*). ნასოფლართან ახლოს დგას IX საუკუნეში აგებული დარბაზული ტიპის ეკლესია, აქვე მრავლადაა მიწიშქვეშა სამალავები, ასევე არის მიწისშქვეშა მცირე სამლოცველო. მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს გუნდი 8 კომლიანი ქართული სოფელი ყოფილა. (*ს.ჯიქია,დასახ.ნაშრ.*)

გუგათა – სოფელ ტოლოშთან ახლომდებარე ნასოფლარია. გადმოცემის თანახმად, მას პირველად **„გოგოს მთა“** ერქვა. ვერტიკალური ზონალობის მიუხედავად **„გუგათაში ვენახები ყოფილა, ბებრის ვენახები რქმევია.მოხუცი ქალი ყოფილა მისი პატრონი“** (*ე.ზ.„მესხური ტოპონიმების ხალხური განმარტება“, „ლიტერატურული მესხეთი“, N8,გვ.10.თბ.,2008*). სულხან საბას განმარტებით გუგა სახედველს ნიშნავს. (*დასახ.ნაშრ.*)

გვირაბიძირი – **„მილახებში სარწყავი არხი რომ გაუყვანიათ, ზედა მილახებთან კლდეში გვირაბი გაუჭრიათ და იქ ახლომდებარე ტერიტორიას გვირაბიძირი დარქმევია. ხელოსნებისთვის ოქრო მიუციათ გასამრსჯელოთ“**-ო.

გვეზალათო – ნასოფლარ ფინიეთთან ახლოს **„სწორი ალაგია (ადგილი) გვეზალათოს ეძახდნენ, ლამაზ ადგილს ნიშნავს“** (ფინიეთი იხ.ქვემოთ)

გვილიაჭალა – **„ჭალების ზევით მდ.ხევას მარჯვენა მხარეს არის პატარა ჭალა, გვილიაი ერქვა იმის პატრონს„** (*მდ.ხევა იხ.ქვემოთ*)

გლერძიანი გორა – **„ტაშლიყიშლის (ქვიანი ყიშლა) ახლოს არის გორა, ბევრი გლერძია იქ და გლერძიან გორას ეძახიან“.** სულხან-საბას მიხედვით გლერძი არის **„ესე ხე დაბალი და ეკლიანი“.** (*ს.ს.*)

დარბაზითავი – მდებარეობს ალანძიის აღმოსავლეთით მდ.ანაღურას მარჯვენა მხარეს, შემაღლებულ გორაკზე შემორჩენილია კედლის ნაშთები. **„მანდ ყოფილა დიდი დარბაზი, ორხოფიიდან (ორღობა) ხალხი ჩამოდიოდა მანდ, იქვე კარგი ცივი წყარაა“. დარბაზი** ძველ სპარსული სიტყვაა და **ალაყაფის კარს** ნიშნავს, ქართულში **„მეფის ან საერთო მბრძანებლის სასახლესა აღნიშნავდა“...** (*ივ.ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, ტ.VII,გვ.179-180,თბ.,1984*)

დანიყული /დანიკული /ბაღი – მთხრობელთა თქმით, **„პატარა ბაღს ნიშნავს.“**

დარიმფა – **„ღრმაწყარო, ნასოფლარ გუგათაშია დიდი ქვის ქვეშ გამოდის, დარიმფას თათრები ეძახდნენ“.**

დასაქანი – **„დაქანებული ალაგია,ურმით მოჰქონებიათ თივა – „ბიჭო, ურემს რამე მოუბით უკან, დაქანდებაო“.** სოფ.ტოლოშის სათიბებია, ალანძიის გავლით მთისკენ მიმავალ გზაზთან ახლოს, ტოლოშიდან 14 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

დვისყიშლა – **„ქართულად სწორი ყიშლაა, ყიშლა – საზამთრო საძოვარია, მოვაკებულ ადგილს ქვია“.**

ეფრემას იათაღი – ნასოფლარ მჭედლისუბნის ზემო მხარეს ფაგებშია **„ეფრემაი ხარს მანდ ყრიდა და ეფრემას იათაღი დაარქვეს“** (*იათაღი – შედარებით მაღლობი ადგილია, სადაც მუდმივად ნიავი იცის*).

თურბები – **„მილახების ბოლოს ეძახოდნენ, არ ვიცი რატო ერქვა ეგ სახელი“.**

იფნიეთი/იფნეთი/ – ნასოფლარია გუგათის დასავლეთით. ნამოსახლარების ირგვლივ შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები და სამალავი დარნები. მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულისთვის იფნიეთში 12 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა (ს.ჯიქია,დასახ.ნაშრ.) იფნიეთელებს მეზობელ გუგათელებთან მოყვრობა ჰქონიათ, რაზეც მიუთითებს ადგილობრივებში შემორჩენილი გამოთქმა: **„გუგათის ქალი ვიყავი იფნიეთის რძალიო". მთხრობელთ განმარტებით: „სახელწოდება იფნიეთი იფნის ხეების სიმრავლის გამო დაარქმევია“.**

კულულეთი – მდებარეობს ალანძიის სამხრეთით. მე-16 საუკუნის წყაროს ცნობით, კულულეთში 3 კომლი ქართველი ქრისტიანი ცხოვრობდა (*ს.ჯიქია,დასახ.ნაშრ.*). ნამოსახლარების სიახლოვეს შემორჩენლია შუა საუკუნეების პერიოდის ეკლესიის ნაშთები და უამრავი მიწისქვეშა სამალავი.

კამეჩის გზა – კულულეთიდან ჩამოდის გზა, **„დაქანებული ადგილია,დაღმართია, მაგედან კამეჩებით ჩამოჰქონდათ თივა, ჩამოტყევასაც ეძახდნენ“.**

კორტოხები – ჭალებიდან ზევით, იფნეთისკენ მიმავალ გზაზე, მდებარეობს (ჭალები იხ.ქვემოთ). **„ყანები ყოფილა მეორეთ და მესამეთნა დაეხნათ ,კორტოხი ამოდიოდა. მეწყერიანი ადგილია“.**

კოროსანა – **„წალკოტ ბაღს ნიშნავს მამაი ასე იტყოდა“** (*მთხრ.რ.მ*) სულხან-საბას განმარტებით „წალკოტი“ ხილის ბაღია (*დასახ.ნაშრ.,ი. აბულაძე,გვ.362;*)

მილახები – მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს, გვირაბიძირიდან ქვაცხელიამდე ადგილებს ჰქვია. ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, მილახებს წინათ ვენახები რქმევია. (*შ.წიქვაძე, „მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში“,გვ17.თბ.,1958;*). **„სულ ვენახით ყოფილა დაფარული მილახები, ვაზი კარგად ხარობდა მანდ...ტოლოშისა იყო ეგ ვენახები“.** 1595 წლის აღწერის მიხედვით, ტოლოშში ექვსი ვენახია დასახელებული, სადაც ყოველწლიურად 1500 მან (ბათმან) ღვინოს წურავდნენ (*ს.ჯიქია, ვ დ დ.ნ.II,გვ.166,თბ.,1941;*). როგორც წერილობითი წყაროებით დასტურდება, ტოლოშში მევენახეობა კიდევ უფრო ადრეული პერიოდიდან ყოფილა განვითარებული. XIV საუკუნის ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ვანის ქვაბების მონასტრისთვის **მურვან ღარიბას** ძეს შეუწირავს **„ერთი ვენახი ტოლოშა ახალშენი მაღნარს, იგიცა ნასხლავი და მიუდევარი“...** (*ციტ.ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე ,გვ.60-61. ახალციხე 2000;*)

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ჯერ საკუთარი კუთხე შევისწავლოთ!

ადამიანს სულის საზრდო ყოველთვის ჭირდება. ამიტომ სკოლის მოსწავლეები ხშირად მიმყავს ექსკურსიებზე როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში. ეს ექსკურსიები შემეცნებითი ხასიათისაა და ბავშვები სწავლობენ, ითვისებენ, ნახულობენ ჩვენი ქვეყნის ულამაზეს მხარეებს, თუმცა, როგორც გაირკვა, ბავშვების უმეტესობას, თავიანთი კუთხის ღირსშესანიშნაობები ნანახი კი არა, გაგონილიც კი არ აქვთ. ამის გამო გადავწყვიტეთ ჩვენი კუთხის შესწავლა, რადგან ადამიანმა ჯერ თავისი ფესვები და კულტურა უნდა შეისწავლოს. რაიონის მასშტაბით დავიწყეთ მოგზაურობა, ძირფესვიანად შევისწავლეთ მისი ისტორია. ამ სამწლიან პროექტის ფარგლებში, გავეცანით მრავალ ტრადიციას, რომლებსაც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ რაიონის სოფლებში. გავეცანით კუთხურ სამზარეულოს და, რაც მთავარია, რაიონის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი აღვბეჭდეთ.

რადგან, დღესდღეობით, განსაკუთრებული ადგილი ტურიზმის განვითარებას ექცევა და, შესაბამისად, რაიონშიც მომრავლდა საოჯახო სასტუმროები, გადავწყვიტეთ, ჩვენ მიერ მოძიებული სარეკლამო მასალებისა და სურათების გამოყენებით, შეგვექმნა საინტერესო ბუკლეტი, სადაც დაწვრილებით იქნება აღწერილი ის ადგილები, რომლებიც აუცილებლად უნდა მოინახულოს ყველა დამთვალიერებელმა.

ამ დღეებში შედგა პროექტის წარდგინება, რომელიც გაიმართა ასპინძის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში, სადაც გამოფენილი იქნა ეთნოგრაფიული მასალები. პრეზენტაციას ესწრებოდნენ V-XII კლასის მოსწავლეები. რადგან წარდგინება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და აქტიურობაც, შესაბამისად, დიდი იყო. მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა ასევე დიდი ინტერესით უყურეს 5 ვიდეორგოლს ასპინძის რაიონის შესახებ. დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების 30%-მა საერთოდ არ იცოდა რაიონის ისტორიული ძეგლების, ასევე სოფლების ადგილმდებარეობაც კი. პროექტის წარდგინებით ძალზე კმაყოფილები დარჩნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები. ღონისძიება ძალიან გაალამაზა მესხურმა ხალხურმა სიმღერებმა.

პროექტი წარმატებით დასრულდა, თუმცა, ანალოგიური ღონისძიებების გამართვას მომავალშიც კიდევ მრავალს ვფიქრობთ, რითაც, გვჯერა, რომ ჩვენი მოსწავლეები, პირველ რიგში, დაინტერესდებიან რაიონის ისტორიული ძეგლებით, უფრო ახლოდან გაცნობენ მათ და, შესაბამისად, მათში ამაღლდება პატრიოტული სულისკვეთება. აქვე შევნიშნავთ, რომ რაიონის ისტორიულ ძეგლებს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება. იმედია პროექტი მომავალშიც გაგრძელდება, ამის დიდი სურვილი და იმედი თვითონ ბავშვებმა გამოთქვეს, ჩვენი მხარე ხომ ულამაზესი, მრავალფეროვანი და საინტერესოა თავისი ბუნებითა და ისტორიული წარსულით...

ოლღა ლეკიშვილი

ასპინძაში საქართველოს მოქალაქის პირადობის 700-ზე მეტი მოწმობა უფასოდ გაიცა

2015 წლის 25 მაისის მონაცემებით, ასპინძის სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა უკვე უფასოდ გასცა საქართველოს მოქალაქის პირადობის 700-ზე მეტი ელექტრონული მოწმობა.

როგორც ცნობილია, ამომრჩეველთა ერთიანი სიის სრულყოფისა და საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის, როგორც უსაფრთხო დოკუმენტის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 18 აპრილის №393 ბრძანების საფუძველზე, საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან 16 წლის ზემოთ ის პირები, რომლებიც პირველად იღებენ ელექტრონულ მოწმობას.

საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობები აქციის ფარგლებში უფასოდ გაიცემა 2015 წლის 20 აპრილიდან 2015 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

მადონა ბირჩაძე,
ასპინძის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის უფროსის მოადგილე

„თხუნელა“

(პრემიერა ასპინძის თავისუფალ თეატრში)

ასპინძის თავისუფალ თეატრს 2015 წლის 15 მაისს პრემიერა ჰქონდა. წარმოდგენილი იქნა ევგენი შვარცის ორმოქმედებიანი ზღაპარი **„თხუნელა“**.

სპექტაკლის დამდგმელი-რეჟისორია ასპინძის თავისუფალი თეატრის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ლია სულუაშვილი**, რეჟისორის ასისტენტი – მარეხ დათაშვილი, სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა **ელენე კვესელავამ**, ქორეოგრაფია **ჯუნა თუმანიშვილი**.

საბავშვო სპექტაკლში მონაწილეობდნენ: თხუნელა – **მარიამ მაგრაქველიძე**, მეფე – **საბა ზედგინიძე**, უფლისწული – **გიორგი სოფრომაძე**, დედინაცვალი – **მთვარისა ზედგინიძე**, ანნა – **თამთა ირიაული**, მარიანნა – **ანი მაზმიშვილი**, მეტყევე – **გიორგი რობაქიძე,** სეფე ქალები – **ლანა ბაბელაშვილი, ანი ბუცხრიკიძე, მარი ბერიძე;** კეთილი ფერია – **ნინო ბერიძე,** პაჟი – **ნუგზარ ზაზაძე**, მარკიზები – **ლუკა რიჟამაძე**, **ნიკა დიაკონიძე, ოთარ ხიზაძე**; ფერიები – **ნანკა, მაია, თამარ ბერიძეები, ხატია ლეკიშვილი, თეკლა სანდოძე, მარი ივანიძე, დალი ბაიბურთიანი, მართა ზაქაიძე, ანა ივანიძე**.

სპექტაკლი განხორციელდა ასპინძის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

სპორტი

ჩემპიონატი ნარდში

9 მაისს კულტურის ცენტრში ჩატარდა ასპინძის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ნარდში, რომელშიც მონაწილეობდნენ ნარდის 17 მოყვარული. ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა და გათამაშდა სამ-სამი პარტია.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პავლე ფოცხვერაშვილი და რამაზ ნარიმანიძე.

ნარდის მოყვარულთა ჩემპიონატში გამარჯვებულ რამაზ ნარიმანიძეს გადაეცა მედალი, სიგელი და ფასიანი საჩუქარი (ნარდი).

პირველობა ფეხბურთში

მიმდინარე წლის 27 აპრილიდან 5 მაისამდე გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მოყვარულთა შორის მინი ფეხბურთში, სადაც 17 გუნდი მონაწილეობდა.

დაბა ასპინძის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდთან ერთად მონაწილეობდნენ სოფლის გუნდებიც, კერძოდ, ივერიიდან, რუსთავიდან იდუმალიდან, ოშორიდან, ოთიდან, მირაშხანიდან, ტოლოშიდან, ნიჯგორიდან, ხიზაბავრიდან, აწყვიტიდან. სამწუხაროდ, შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სოფლების – ჭობარეთის, ნაქალაქევის, ხერთვისისა და ზველის ფეხბურთელებს.

მინიფეხბურთში გაიმარჯვა ასპინძის „ვარძიამ“.

რეგიონული პირველობა ჭადრაკში

მიმდინარე წლის 25 მაისს ქალაქ ბორჯომში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი რეგიონული პირველობა ჭადრაკში, სადაც მონაწილეობდნენ – ადიგენის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჯომის ორ-ორი და ასპინძის გუნდები.

მიუხედავად იმისა, რომ ასპინძაში ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებს ჭადრაკის სექცია, სასიხარულოა, რომ ასპინძელმა დაჩი ზედგინიძემ, დავით ლაზარაშვილმა, სივან ბექირიანმა და ვახტანგ დევნოსაძემ გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ტურიზმის მთავარი სპეციალისტის პაატა ქავთარაძის ინფორმაციით, სექტემბრიდან ასპინძაში გაიხსნება სექცია, რომელიც უფასოდ მოემსახურება ჭადრაკის შესწავლის მსურველებს.

***

ამა წლის 31 მაისს, ასპინძაში ჩატარდა ბავშვთა რაგბის რაიონული ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ნორჩმა რაგბისტებმა ადიგენიდან, ახალციხიდან, ასპინძიდან, სოფლების – ხიზაბავრის, ნაქალაქევის, თმოგვის, რუსთავისა და ოშორის წარმომადგენლებმა. გაიმარჯვეს ?????????????????????? ნორჩმა რაგბისტებმა.

(საკუთარი ინფორმაცია)

ნუგზარ მელიქიძის ცრემლიანი მონატრება

ჩემო ნუზი!

უსაზღვრო სევდით, ცრემლითა და გამოუთქმელი მწუხარებით გავიდა 8 თვე, რაც შენ ჩემი ცხოვრებიდან წახვედი და დამიტოვე მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც სიკვდილის ბოლომდე გამყვება. შენთან შეხვედრით გავინელებ ამ სევდას, როცა ამას უფალი ინებებს.

2 ივნისი - პირველი დაბადების დღე მოვიდა, ნუზი, უშენოდ! 51 წლის გახდებოდი... თვალცრემლიანი გილოცავთ ყველა _ შენი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები და თანამშრომლები დაბადების დღეს. ამოვალთ შენ საფლავზე, დაგინთებთ ბევრ სანთელს, მაგრამ ვაი, რომ ჩვენ თავშეყრას აუცილებლად დააკლდება შენი ლაზათი, იუმორი, გადამდები სიმხნევე და მხიარულება.

გვიჭირს უშენობა, ნუზი, გვენატრები და გვიყვარხარ.

უფალმა დაგამკვიდროს ცათა სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი საყვარელი მეუღლე და შვილები.

„ლექსი, არ დარყვნილი“!

ვასილ ნარიმანიძე

ძველ ხიდის ბურჯთან

გაზაფხულდა მესხეთში
მიწა მოირთო მწვანითა,
სიცოცხლე გაზაფხულისა
მთისკენ მიიწევს ბარითა.
ბარაქიანი ადგილი
გათბა, ახალი ძალითა,
მიწა გმირთ სისხლით ნაპოხი
მოპოვებული ხმალითა.
ადიდებულა მტკვარიცა,
აღარ ეტევა ჭალაზე,
ტალღებს აგორებს ნაპირზე,
ახლად ამოსულ ბალახზე.
მოიკეცება საშინლად,
ადრე რომ იყო მწუხარე,
ყინვისგან შეწუხებული
ახლა გამხდარა მქუხარე.
ვზივარ ძველ ბურჯის პირდაპირ,
დაღონებული მდუმარე,
მტკვარი მაგონებს ჩემ წარსულს,
ცრემლი ჩამომდის მდუღარე.
უყურეთ, ირგვლივ მთებია,
შორს კი გაშლილა ბარია,
ბურჯი რომ მოჩანს კლდეზედა,
ერეკლეს ნახიდარია.
აქ, ამ ადგილზე ერეკლემ
თურქ ბელადს ხელი დაჰრია,
ხიდს ჩაუხერხა ბოძები,
მტრის ჯარი წყალში ჩალია.
რამდენი გმირი წაიქცა,
მამულს დააკვდა რამდენი,
საიდან ედგა გმირთ-გმირებს
ძარღვებში სისხლი ამდენი.
ყოველი მხრიდან უტევდნენ
თურქი, სპარსი თუ არაბი,
მათ გადაბუგულ მიწაზე
უქრობი კვამლი ახლაც სდის.
არ შეეპუენ გმირები,
მტრის რისხვისა და ძალასა,
ქართველი ქალი იდუმალ,
შვილს უმღეროდა ნანასა,
ერთ ხელში ხმალი ეჭირა,
ტირილით მკიდა ყანასა,
ქართლის დედები უმღერდნენ
ჩვილებსა იავნანასა,
თუ არ უყვარდათ მამული,
განა იზამდნენ ამასა?
განა ჩვენ გვგვანდნენ ახლანდელს,–
ერთურთს არ ვაძლევთ სალამსა,
ალესილ ნამგლის მაგივრად
ვხმარობთ ჟანგიან კალამსა.
ზოგს თვალი იქით უჭირავს,
ვის რასმეს გამოძალავსა,
სად ვისმეს დააბეჩავებს,
სად ვის დაადებს ყალანსა,
ვაუკაცად გადაიქცევა,
თუ სადმე ნახავს თალანსა.
ზოგს ღმერთი დავიწყებია,
წამლობს თათრების ალაჰსა,
ჩვენც გვარცხვენს ასეთი კაცი,
თავზე გვასხამენ ტალახსა,
ვიცი, დრო გავა მაგათიც,
გადაივლიან მალაყსა,
მჭადიც კი დაენატრებათ,
ეხლა სწუნობენ კარაქსა!
ვინ მოუწონებს ქართველ კაცს
ქართველი კაცის ღალატსა,
იმ ჩვენ წინაპრებს მივბაძოთ,
მტერს რომ მუსრავდა ათასსა.
წავიდნენ ცხონებულები,
ვიღასა ნახავ მათ ფასსა,
ჩვენ კი მათ მოსაგონებლად
ხელი მოვკიდოთ კალამსა,
ჩამოვეკიდოთ იქნება
იმათ ცხენების ფაფარსა.

გაზაფხული

შეხედე, გამოზაფხულდა,
ძილს გამოეხსნა ბუნება,
ზამთრისგან შეწუხებულმა
გაიხალისა გუნება.
საცაა ია ამოვა,
მიყვარს იმისი ყურება,
სურნელებას რომ მოფანტავს,
ის როგორ დაიწუნება.
დავეკონები ყვავილებს,
მადლია მათი სუნება.
იმის მარჯვენას ვენაცვლე,
ვინაც რომ იყო მთესველი,
ვინც ყვავილებით მოქარგა
ჩვენი ხევ-ღელე, მთა-ველი.
ვარდებს ბულბული უმღერის,
მთვარიან ღამის მთეველი,
ღრუბელი ცვარ-ნამს აპკურებს,
მათოვს სიკეთის მწეველი.
ნეტავ ვინ უნდა აღწეროს
სიმშვენიერე მთებისა,
პირუტყვის გამლაღებელის
და სანავარდო შვლებისა.
სიცოცხლე იქ სჩქეფს საამო,
განსხვავებულად ბანისა,
ჟივილი მოდის ყოველმხრივ,
კოლმეურნეთა ფარისა.
ნელ-ნელა დნება ნამქერი,
გადმოტანილი ქარისა,
ბალახიც მომძლავრებულა
საძოვრად წაბლა ხარისა.
ყველგან მზის სხივი ციალებს,
გამხარებელი თვალისა,
თავქვეშად მოექანება,
მომტანი ახალ ძალისა,
ხმა ისმის შორი ახლოდან,
ქვიშაში ჩამოჩხრიალებს,
ფარა მიიწევს მთებისკენ,
მათ ფეხქვეშ მიწა ზრიალებს,
წინ დასდგომია მეცხვერე
იქით და აქეთ ტრიალებს.

რედკოლეგია